## კარიტასის სამედიცინო მობილური ჯგუფის ვიზიტი სამცხე-ჯავახეთში

საქართველოს კარიტასის სამედიცინო მობილური ჯგუფი, რომელიც შედგებოდა ექიმი კარდიოლოგის, რადიოლოგისა და თერაპევტისგან იმყოფებოდა სამცხე ჯავახეთის ქ. ვალესა და სოფელ ხიზაბავრაში, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას გაუწია სამედიცინო მომსახურება.

აქციის ფარგლებში განხორციელდა 257 ვიზიტი. 118-მა პაციენტმა გაიარა თერაპევტის კონსულტაცია, 115 -ს ჩაუტარდა ულტრაბგერითი გამოკვლევა; 50-ს - ელექტროკარდიოგრამა. მედიკამენტები მიიღო 102-მა პაციენტმა.

## MEDICAL MOBILE GROUP VISIT TO SAMTSKHE-JAVAKHETI

Caritas Georgia Medical mobile group, comprising of cardiologist, radiologist and physician, visited the town of Vale and village “Xizabavra” in Samtskhe-Javakheti region to provid medical assistance to the local population.
257 visits were conducted within the framework of the visit. 118 patients were treated by physician; ultrasound research was provided to 115 patients; 53 patients underwent ECG; medication was given to 102 patients.





## რუსთავის მერიისა და „საქართველოს კარიტასის" ერთობლივი აქცია

2014 წლის 17 აპრილს, საქართველოს კარიტასმა შინმოვლის პროექტის ფარგლებში საკვებით დახმარება გაუწია ქ. რუსთავის სოციალურად დაუცველ, შინმოვლის პროექტის ბენეფიციარებს.

წინასააღდგომო ღონისძიებაში კარიტასის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ქ. რუსთავის მერმა, დავით ჯიქიამ, რომელმაც აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

## EASTER CHARITY ACTION IN RUSTAVI

On April 17, 2014 Caritas Georgia and Rustavi city council conducted Easter charity action. Food aid was distributed to all Home Cara project beneficiaries. Rustavi Mayor, Mr. Davit Jikhia also took part in charity action, together with Caritas Georgia Home Care program representatives Mr. Jikhia visited socially vulnerable families, wished them happy Easter and delivered presents.





საქართველოს კარიტასი
Caritas Georgia

# ირჩევს სიცოცხლეს
# Opting For life






№8
აპრილი – ივლისი, 2014
April- July, 2014

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამა
Health and Social Care Program

**აღმოაჩინე ქველმოქმედი შენში**
დარეკეთ ნომერზე: 0 901 500 567
ზარის ღირებულება – 1 ლარი

თბილისი
ქურდიანის,3
ტელ/Tel: (995 232) 234 76 75
3, Kurdiani str., Tbilisi

გორი
ნინოშვილის ქ. 89
ტელ/Tel: (995 270) 27 49 57
89, Ninoshvili str., Gori

ქუთაისი
ნიუპორტის ქ.10
ტელ/Tel: (995 231) 24 35 50
10, Newport Srt., Kutaisi

www.caritas.ge
დაგვიმეგობრდით ფეისბუქზე - საქართველოს კარიტასი შინმოვლა

## სერტიფიკატების საზეიმო გადაცემის ცერემონიალი



2014 წლის 16 ივნისს, საქართველოს კარიტასმა დიდუბე პლაზას საკონფერენციო დარბაზში გადასცა სერტიფიკატები კერძო კოლეჯების სამედიცინო ფაკულტეტების 300 სტუდენტს, რომლებმაც გაიარეს საწარმოო პრაქტიკა კარიტასის ტრენინგის პროექტის ფარგლებში. საქართველოს კარიტასის სამედიცინო პროგრამის აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს შინმოვლის მეთოდების ათვისებას და ხორციელდება საქართველოს კერძო კოლეჯების და საქართველოს ექთნების ასოციაციასთან პარტნიორობით.

სერტიფიკატების გადაცემის ცერემონიალში მონაწილეობდნენ საქართველოს კარიტასის დირექტორი - პადრე კ. კოვალი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი - თამარ ქიტიაშვილი, საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტი - მაია ჩიხლაძე და საქართველოს ექთნების ასოციაციის პრეზიდენტი - ქეთევან გარსევანიშვილი.

პროექტში ჩართულნი არიან საზოგადოებრივი კოლეჯები: „ორიენტირი“, „პანაცეა“, „ბარაკონი“, „იმედი“, „ზ.ფანასკერტელის“ სახელობის სამედიცინო კოლეჯი, „თბილისის #1“ სამედიცინო სასწავლებელი და ინტერბიზნესის აკადემია. მომდევნო სამი წლის განმავლობაში დაგეგმილია 1200 სტუდენტის მომზადება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

საზეიმო შეხვედრის დროს, საქართველოს ექთნების ასოციაციის პრეზიდენტმა სამუშაოდ მიიწვია აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში თბილისის #1 სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტი ნინო ბაჩოშვილი, რომელმაც ტესტირების დროს მიიღო საუკეთესო ქულები.



## CERTIFICATES AWARD CEREMONY

On June 16, 2014, in Tbilisi “Didube Plaza” conference hall, Caritas Georgia awarded 300 medical students of the Private Colleges Association of Georgia, who have undergone training and practice in Home Care in the frames of Caritas Georgia training project. The aim of the project, which is implemented in partnership with the Association of Private Colleges of Georgia and Association of Nurses of Georgia, is teaching students home-care shills.



Participants of the event were Caritas Georgia Director, Padre K. Koval, Head of the Department of Vocational Education of the Ministry of Education and Science of Georgia, Tamar Khitiashvili, President of the Association of Private Colleges of Georgia, Maia Chikhladze and President of the Association of Nurses of Georgia, Ketevan Garsevanishvili.

In the Caritas Georgia training participated students of several colleges in Tbilisi: “Orienti”, “Panatsea’ “Barakoni”, “Imedi”, “Z. Panaskenteli Medical College”, Tbilisi #1 Medical College and “Inter-Business Academy”. During the next three years, it is planned to provide trainings to 1200 students from various regions of Georgia.

Student Nino Bachoshvili of Tbilisi #1 Medical College that received the highest scores was offered a post of nurse by administration of Tbilisi Cardiology Hospital.

## კარიტასის ბენეფიციარმა გაიმარჯვა გაეროს კონკურსში

2014 წლის 16 ივლისს გაეროს სახლის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა „გაეროს მოსახლეობის ფონდის“ მიერ ორგანიზებული თხზულებათა კონკურსის „დაბერება საქართველოში“ გამარჯვებულების დაჯილდოვების საზეიმო ცერემონიალი.

აღნიშნული კონკურსი ჩატარდა, საქართველოში დაბერების შესახებ გზამკვლევის შემუშავების პროექტის ფარგლებში.

კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ხანდაზმულებმა საქართველოს სახვადასხვა კუთხიდან.

საგანგებოდ შერჩეულმა ჟიურიმ 43 ნამუშევრიდან 10 გამარჯვებული კონკურსანტი გამოავლინა, მათ შორის არიან საქართველოს კარიტასის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამის ბენეფიციარები - ქ-ნი ლამარა მილდიანი და ქ-ნი ზაირა ორჯონიკიძე. ,,გაეროს მოსახლეობის ფონდის’’ წარმომადგენლებმა გამარჯვებული კონკურსანტები დააჯილდოვეს



სიგელებით, მათ ასევე გადაეცემათ ფულადი ჯილდო.

როგორც „გაეროს მოსახლეობის ფონდის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, 43 თხზულება გამოიცემა წიგნად, სადაც თითოეული კონკურსის მონაწილის ფოტოსურათიც იქნება წარმოდგენილი. წიგნი დაურიგდება კონკურსის ყველა მონაწილეს და ასევე ხელმისწვდომი იქნება ფართო საზოგადოებისათვის.




## CARITAS GEORGIA BENEFICIARY WINS UN ASSAY CONTEST




On July 16, 2014 UN House hosted the award ceremony of the assay contest “Aging in Georgia” winners organized by United nations Population Fund (UNFPA) Georgia.

United Nations Economic Committee for Europe (UNECE) announced a competition for the best essay on the topic of “Aging in Georgia”. The contest was held in the framework of developing the guidelines on Aging in Georgia project.

Participants of the competition were the elderly people from different parts of Georgia. The competitive jury selected 43 assays and the authors of the best 10 ones were awarded by certificates and prizes. Among the winners were Caritas Georgia Health and Social Care program beneficiaries - Ms. Lamara Mildiani and Ms. Zaira Orjonikidze.

According to the UN Population Fund, the 43 essays will be published in a special edition where phots of all participants will be also presented. The edition will be distributed to all participants and will be available for public as well.